საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

112734-08-02-2-201910211359

N 08-02/112734
21/10/2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბატონ გიორგი გახარიას

ბატონო გიორგი,

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი საკრედიტო შეთანხმების (საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმა) საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლად გ. კაკაურიძისა და ნ. გაგუას დანიშვნის შესახებ".

გაცნობებთ, რომ „საპარლამენტო მდივნის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში სარატიფიკაციოდ წარდგენილი საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის 2019 წლის 7 ოქტომბერს ხელმოწერილი საკრედიტო შეთანხმების (საქართველოს ენერგეტიკის სექტორის რეფორმა) საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლები იქნებიან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები გიორგი კაკაურიძე და ნიკოლოზ გაგუა.

დანართი: 151 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

№ 41552
21-10-2019
152

[illegible]
[illegible] (+995 32) 226 41 12
[illegible] info@mof.ge
[illegible] www.mof.ge

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible] www.mof.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

KA010138784400019

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40–51–48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40–51–48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№13329

13 / სექტემბერი / 2019 წ.

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2019 წლის 16 აგვისტოს №07-05/89555 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) შორის გასაფორმებელი საკრედიტო შეთანხმების პროექტი, რომელთან მიმართებით გაცნობებთ, რომ ხელშეკრულების პროექტის ფარგლებში საკითხები – ა) მარეგულირებელ სამართლად საფრანგეთის კანონმდებლობის მითითების; ბ) დავათა გადაწყვეტის ფორუმად საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესებით არბიტრაჟის არჩევისა და გ) საქართველოს მიერ სუვერენულ იმუნიტეტზე უარის თქმის შესახებ – უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

ამასთან, შეთანხმების პროექტის მე-11 მუხლის 4.2. პუნქტის „ხ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მასში მოცემული მითითება პროგრამის დოკუმენტების ამავე ქვეპუნქტით განსაზღვრული პირებისთვის გამხელასთან დაკავშირებით საჭიროებს დამატებით შეფასებას, იმდენად, რამდენადაც, შეთანხმების პროექტის მიზნებიდან გამომდინარე, არ იკვეთება მსესხებლის მიერ ასეთი ვალდებულების აღების საჭიროება. ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს დავებთან არსებული მითითებაც, ვინაიდან წინამდებარე შეთანხმების, ასევე, განსახორციელებელი პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, ბუნდოვანია ხენებული დებულების არსი; კერძოდ, ამ დებულებიდან არ იკვეთება, თუ კონკრეტულად რა გარემოებებს შეიძლება მიემართებოდეს დავა, რა შეიძლება იყოს მისი საგანი და მიმართება წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირებულ სამართალურთიერთობასთან, ასევე, ვინ შეიძლება იყვნენ ხსენებული დავის მხარეები. ამდენად, ბუნდოვანი რჩება გასაცემი ინფორმაციის შინაარსიც და მასთან დაკავშირებით მსესხებლის მიერ ასაღები ვალდებულების მიზანშეწონილობა.

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია

მიხეილ სარჯველაძე

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

89555-07-05-2-201908161645

N 07-05/89555
16/08/2019

ფრიად სასწრაფო

საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილეს
ბატონ მიხეილ სარჯველაძეს

ბატონო მიხეილ,

გიგზავნით ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამასთან დაკავშირებით ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხის გამოყოფის შესახებ საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს შორის გასაფორმებელი საკრედიტო შეთნხმების პროექტს, ინგლისურ ენაზე არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად.

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოგვაწოდოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნა აღნიშნული შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით.

დანართი: საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს შორის გასაფორმებელი საკრედიტო შეთნხმების პროექტი ინგლისურ ენაზე არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად

პატივისცემით,

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ:(+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

საქართველო

35543-01-2-201909160930

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/35543
16/09/2019

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მ.წ. 16 აგვისტოს №07-05/89556 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განხილულ იქნა „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შორის საკრედიტო შეთანხმების“ პროექტი და მის მიმართ გააჩნია შემდეგი შენიშვნები:

- შეთანხმების პროექტის ქართულ ენოვანი ტექსტის 3.3 პუნქტის, 4.2 პუნქტის, 4.3 პუნქტის (გ) ქვეპუნქტის, 8.5 პუნქტის (ე) ქვეპუნქტის, 10.8 პუნქტის, 11.4.1 ქვეპუნქტის, 11.6.3 პუნქტის და 13.1 პუნქტის რედაქცია შესაბამისობაშია მოსაყვანი ინგლისურ ენოვან ტექსტთან;
- შეთანხმების პროექტის ქართულ ენოვანი ტექსტი საჭიროებს საფუძვლიან რედაქტირებას და სტილისტურ შესწორებას;
- „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული დოკუმენტი არ წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტს, ვინაიდან მისი 17.1 მუხლის თანახმად, იგი რეგულირდება საფრანგეთის კანონმდებლობით.

პატივისცემით,
ნოშრევან ლომთათიძე

დეპარტამენტის დირექტორი - მ.შ.
საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

89556-07-05-2-201908161645

N 07-05/89556
16/08/2019

ფრიად სასწრაფო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ხათუნა თოთლაძეს

ქალბატონო ხათუნა,

გიგზავნით ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამასთან დაკავშირებით ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხის გამოყოფის შესახებ საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს შორის გასაფორმებელი საკრედიტო შეთნხმების პროექტს, ინგლისურ ენაზე არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად.

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოგვაწოდოთ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დასკვნა აღნიშნული შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით.

დანართი: საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს შორის გასაფორმებელი საკრედიტო შეთნხმების პროექტი ინგლისურ ენაზე არაოფიციალურ ქართულ თარგმანთან ერთად

პატივისცემით,

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ:(+995 32) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel.: (+995 32) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

KA020191177529519

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 24/6569

23 / აგვისტო / 2019 წ.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი ამა წლის 16 აგვისტოს N07-05/89554 წერილით წარმოდგენილი ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამასთან დაკავშირებით ბიუჯეტის მხარდამჭერი სესხის გამოყოფის შესახებ საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს შორის გასაფორმებელი საკრედიტო შეთანხმების პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

შეთანხმების 2.2 მუხლის თანახმად, მსესხებელი ვალდებულია, მთლიანი ნასესხები თანხა გამოიყენოს ექსკლუზიურად შეთანხმების მე-2 განრიგში აღწერილი პროგრამის განხორციელების დაფინანსების მიზნით. როგორც ჩვენთვის ცნობილია, პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხის მიზნობრიობა განსაზღვრულია ბიუჯეტის საჭიროებებიდან გამომდინარე და არ იზღუდება მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებით.

ვფიქრობთ, ზემოხსენებული საკითხი საჭიროებს დამატებით განხილვას.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით თვალაბეიშვილი

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-04/3144

3144-04-2-201908191603

19/08/2019

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ნიკოლოზ გაგუას

თქვენს 2019 წლის 16 აგვისტოს
N07-05/89553 წერილზე

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა საქართველოსა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) შორის გასაფორმებელი საკრედიტო შეთანხმების პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ენერგეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამასთან.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტის მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

არჩილ მესტვირიშვილი

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

103392-07-05-2-201909251627

N 07-05/103392
25/09/2019

დასკვნა

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს შორის გასაფორმებელ საკრედიტო შეთნხმების პროექტთან დაკავშირებით

საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს შორის გასაფორმებელი საკრედიტო შეთნხმების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.

ნიკოლოზ გაგუა

მინისტრის მოადგილე

0114 Tbilisi, [illegible] 16